საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელება (2015-2022წ) და ქალთა ცნობიერების შეფასება საქართველოში

თამარ ხუნდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ხუნდაძე

10.06.2024წ

აბსტრაქტი

საშვილოსნოს ყელის კიბო არის კიბოს ტიპი, რომელიც წარმოიქმნება საშვილოსნოს ქვედა ნაწილში, კერძოდ საშვილოსნოს ყელის უჯრედებში, რომელიც დროთა განმავლობაში, თანდათან ვითარდება. საშვილოსნოს ყელის კიბო ქალებში დიაგნოსტირებულ ავთვისებიან სიმსივნეებს შორის მე-4 ყველაზე გავრცელებული კიბოა მსოფლიოში. დაავადების შემთხვევათა უმეტესობა გამოწვეულია ადამიანის HPV ინფექციით, თუმცა მის რისკ-ფაქტორებს ასევე წარმოადგენს სქესობრივი ცხოვრების ადრეულ ასაკში დაწყება, ბევრი სქესობრივი პარტნიორი, ორალური კონტრაცეპტივების 5 წელზე მეტხანს გამოყენება, თამბაქოს მოხმარება და აივ ინფექცია/შიდსი.

კვლევის მიზანია საქართველოში შეფასდეს საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელება და მისი პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურობა, გარდა ამისა დადგინდეს ქალთა ინფორმირებულობის დონე, რათა იდენტიფიცირდეს ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხელს უწყობენ საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელებას. მიზნის მისაღწევად კი გამოყენებულია აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა, რაც თემის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა.

კვლევის ჰიპოთეზა: საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მიერ პრევენციული ღონისძიებების დანერგვის მიუხედავად, ჯერ კიდევ მაღალია საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების რაოდენობა და ლეტალობის მაჩვენებელი, რაც ძირითადად გამოწვეულია მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონით.

კვლევის ამოცანებია:

- საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელებისა და მისგან გამოწვეული სიკვდილიანობის შეფასება სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე
- საქართველოში არსებული საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციული ღონისძიებების მიმოხილვა

- საშვილოსნოს ყელის კიბოსა და მის პრევენციული ღონისძიებებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებულობის შესასწავლად კვლევის ჩატარება
- მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელების შესასწავლად, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, გამოყენებულია აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდი, ხოლო ქალთა ცნობიერების დონის შესაფასებლად - რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. აღწერილობითი კვლევის შედეგად გაანალიზდა საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოსთან დაკავშირებული 2015-2022 წლის სტატისტიკური მონაცემები. რაოდენობრივი კვლევისას კი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ონლაინ- ანკეტირების გზით გამოიკითხა 242 ქალი რესპონდენტი , რომელთა ასაკიც 18-55 წ იყო და ცხოვრობდნენ საქართველოში. კითხვარი შედგებოდა 17 დახურული კითხვისგან. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის გამოყენებით.

დასკვნა: ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული აღწერილობითი ეპიდემიოლოგიური ანალიზის შედეგად ჩანს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. თუმცა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საშვილოსნოს ყელის კიბოსა და მისი რისკ-ფაქტორების შესახებ, ასევე, არ არის ინფორმირებული, რომ უფასოა HPV საწინააღმდეგო აცრა და სკრინინგი. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას, მაგრამ ნაკლებად ცდილობს არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ქალებისთვის და მათ პოპულარიზაციას.

რეკომენდაციები: არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობა გაიზარდოს არსებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ. მნიშველოვანია, რომ პირველადი ჯანდაცვის რგოლი მეტად ჩაერთოს პრევენციული ღონისძიებების პოპულარიზაციაში და მის მიმართ სანდოობის

გაზრდაში. ასაევე, აუცილებელია, რომ გაიზარდოს ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

საძიებო სიტყვები: საშვილოსნოს ყელის კიბო, HPV, HPV საწინააღმდეგო ვაქცინა, სკრინინგი, ქალთა ინფორმირებულობა.

Abstract

Cervical cancer originates in the lower part of the uterus, specifically in the cervix cells, and develops gradually over time. It ranks as the fourth most common cancer among women worldwide. The primary cause of cervical cancer is human papillomavirus (HPV) infection, with other risk factors including early sexual activity, multiple sexual partners, long-term use of oral contraceptives (more than 5 years), tobacco use, and HIV/AIDS.

This study aims to evaluate the prevalence of cervical cancer in Georgia, assess the effectiveness of preventive measures, and determine women's awareness levels to identify factors contributing to its spread. Descriptive epidemiological analysis and quantitative research methods are employed to achieve these objectives.

Research Hypothesis: Despite preventive measures implemented by the Georgian healthcare system, the incidence and mortality rates of cervical cancer remain high due to low public awareness.

Research Objectives:

1. Evaluate the prevalence and mortality rates of cervical cancer in Georgia through statistical analysis.
2. Review existing preventive measures for cervical cancer in Georgia.
3. Conduct research to assess women's awareness of cervical cancer and its preventive measures.
4. Develop recommendations based on the research findings.

Research Methodology: A descriptive epidemiological approach is used to analyze statistical data on cervical cancer in Georgia from 2015 to 2022. Quantitative research involves surveying 242

female respondents aged 18-55 years residing in Georgia, using an online questionnaire with 17 closed-ended questions. The data analysis is conducted using SPSS software.

Conclusion: Descriptive epidemiological analysis indicates a decreasing trend in the incidence and mortality rates of cervical cancer. However, the quantitative research reveals that many women lack information about cervical cancer, its risk factors, and the availability of free HPV vaccination and screening programs. Although financial access has improved, efforts are needed to enhance public awareness and promote these programs effectively.

Recommendations: To address these issues, it is crucial to increase public awareness of preventive measures. Primary healthcare providers should play a more active role in promoting awareness and building trust in these measures. Additionally, improving financial and geographic access to medical services is essential.

Keywords: Cervical cancer, HPV, HPV vaccine, screening, women's awareness.